საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 20 00361580

04/05/2020

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მიკრობიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია

სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27[5]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 7 ოქტომბერს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №-15/01-578 (ცენტრში რეგისტრაციის №-1368343. 09.10.2019) სააკრედიტაციო განაცხადი „მიკრობიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 08 ნოემბერს №1072 ბრძანების საფუძველზე, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 იანვრის №13313 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 4 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 11 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 30 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მ უხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ათი ხმით ერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 8 (რვა) თვეში ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „მიკრობიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 04 მაისის MES 7 20 00361358 სხდომის ოქმის №07 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ა) სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსი/გეგმა, ისევე როგორც შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;
ბ) ნათლად გაიწეროს სტრატეგია სტატუსშეჩერებული დოქტორანტების შესახებ;
გ) საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან;
დ) დამატებითი რესურსების მოსაძიებლად სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი წახალისება და მხარდაჭერა საგრანტო პროექტების წარდგენის თვალსაზრისით;
ე) შემუშავდეს ელექტრონული ბაზა დოქტორანტებისთვის;
ვ) განთავსდეს მიკრობილოგიის სადოქტორო პროგრამა უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://www.sou.edu.ge;
ზ) პროგრამის ხელმძღვანელები და ძირითადი პერსონალი გააქტიურდნენ გრანტების მოპოვების კუთხით და წაახალისონ დოქტორანტები ამ მიმართულებით;
თ) პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ინტენსიურად ფოკუსირდეს ინტერნაციონალიზაციაზე;
ი) გაიმართოს და დაიხვეწოს სტუდენტების ელექტრონული ბაზა;
კ) განხორციელდეს მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური სრულყოფა;
ლ) ნათლად გაიწეროს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი;
მ) ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მეტი რესურსი გამოიყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე;

ნ) შიდა ხარისხის სამსახურმა ეფექტურად გამოავლინოს პროგრამის დამუშავების დროს დაშვებული ხარვეზები და იზრუნოს მათ აღმოფხვრაზე.

რჩევები:

ა) სასურველია, ბიოსტატისტიკის სასწავლო კურსის შინაარსში გათვალისწინებული იქნას, კომპიუტერული სტატისტიკური პროგრამების სწავლებაც, რაც მონაცემების სტატისტიკური დამუშავების დროს შრომატევად სამუშაოს კიდევ უფრო გაამარტივებს;
ბ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობად, სასურველია, მიეთითოს საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების მინიმალური „იმპაქტ ფაქტორი" (თუნდაც 0.5);
გ) გამოკითხვებით მიღებული შედეგების კუმულაციური ანალიზი უფრო ეფექტურად უნდა გავრცელდეს პროგრამაში მონაწილე პერსონალს შორის (მაგალითად ელექტრონული ბაზის საშუალებით);
დ) გარე შეფასებები (არა მხოლოდ აკრედიტაციის მიზნით) უნდა განხორციელდეს რეგულარულად, გონივრულ ვადებში და სხვადასხვა ექსპერტის მიერ. შეფასების დოკუმენტები, სასურველია, დადასტურებული იყოს ხელმოწერითა და ბეჭდით;
ე) სასურველია გააქტიურდეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებში ჩართულ პერსონალთან ინტენსიური პროფესიული ურთიერთობის ჩამოყალიბება, რაც დოქტორანტებს როგორც სწავლის პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდეგ განვითარების მეტ შესაძლებლობებს მიცემს.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 8 (რვა) თვე - 2021 წლის 5 იანვრამდე.
6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 4 მაისს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კიკნაძე ნიკოლოზ